


• ნანა •

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 კპ.




განგებამ გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავ-
მოსწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა
მეტყუელებისათვის, თვალნი სედვისათვის, უკური სმენი-
სათვის, გულს ჩაუდვა გაუქრობელი ცუცხლი კაცთა გუ-
ლის კასათობლად.

ნა-ია 



ამ ვეძიებდი ნაცნობს ადვილს განსასვენებლად.



დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული
ვის უფრო გვიყვარს, ძიანო, მამული!



ნახატები ჯამალა ლოლუასის

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,
მაინც დარჩება.

იქნა იყო ახა აქვან, რიქლ ზღუქლ!

...რომ, თქვენი დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად, გადაწყვეტილია, თბილისში დაიდგას თქვენი ძეგლი, მაგრამ როდის მოხდება მისი გახსნა, ეს უკვე აღარავინ იცის, თუ გავითვალისწინებთ წარსულის გამოცდილებას.

...რომ დიდი შოთას რჩევისათვის ყველას თქვენსავით ეგდო ყური და მოკლედ ეთქვა და ეწერა, მაშინ საბეჭდი ქალღმერთი დეფიციტი აღარ იქნებოდა.


...რომ „მერანის“ რუსული თარგმანი 200 მანეთად შეაფასეს, მაგრამ არავინ იცის, რამდენი ღირს თვით თქვენი მერანი, როცა ზესწრაფი რეაქტიული თვითმფრინავებისა და კოსმოსური სომალდების ეპოქაშიც მისი დაწვევა არავის შეუძლია.

...რომ, ჟამთა სვლამ თქვენი სურათიც კი არ შემოგვინახა, მაგრამ სახე თქვენი ყოველ ქართველს თვალწინ უდგას და სახელს თქვენსას მოწიწებით წარმოთქვამს, მაშინ, როცა ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე პირადადაც გვინახავს და სურათითაც, მაგრამ მისი არც სახე გვახსოვს და არც სახელი.

...რომ თბილისში არის რუსთაველის პროსპექტი, ჭავჭავაძის პროსპექტი, წერეთლის პროსპექტი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი და თქვენი აღმართი! გვაცნობეთ, ხომ არა გვლით აღმართი? იქნებ, თქვენც პროსპექტი შეგეფერებათ?..

...რომ ჯერ კიდევ ვერ ამოუცვნიათ თქვენი გენიალობის საიდუმლო და ფიქრობენ, ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ თქვენ აკადემიური განათლება არ მივიღიეთ, ხელმოკლეობას განიცდიდით, წერისათვის არ გეცალათ, პონორარი არც ერთხელ არ ავიღიეთ, სიცოცხლეში თქვენთვის იუბილე არავის გადაუხდია...

თემურ ჩახუნაშვილი



მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს
გოლო მოვლოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე,
ვის სადღა იყოს?



ნელად მოდელავს მოდულუნი მტკვარი ანკარა...

მ. ხიმშიაშვილი...

მორბის არაგვი არაგვიანი,
 თან მოსძახიან ვაჟნი „ფხიანნი“
 თოფიან-მწვეარ-მეძებრიანი,
 ყივილ-ხივილით, სტვენით, ღრდულით,
 ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
 მობიბინენო, შვებით მომზირნო,
 „ქართველსა“ გულმა როგორ გაუძლოს,
 როს შენს ბუჩქებში შველი იხილოს
 და მყისვე თოფი არ მოუღიროს,
 იქვე სული არ გააცხებინოს
 და ნაკვერჩხლებზე, მწვადებს შველისას,
 შიშინი რომ არ დააწყებინოს.
 მერე კი ჩრდილში „ტკბილქარდველურად“
 პატარა რომ არ ჩაუჭინჭილოს.
 ტყისმცველმა, სადაც უნდა, იჩივლოს...
 გამოთვრება და თვალს მოატყუებს,
 გამოიღვიძებს, შუბლს განიგრილებს,
 გამოუღებდა ქორბუდა ირემს,
 მსწრაფლად განგმირავს, ფურს დააობლებს
 და მერე თუნდაც სტადიონზე დაუგვიანდეს,
 იგი ამისთვის აღარ დალონდეს.

გაქან სვანიძე

ზოგნი რე იქვე ზეხსიაშვილი:

- | | | |
|---|--|---|
| <p>სოფლის ზოგვიერთ თავკაცზე
 იყოს სოფელში და სოფლისთვის არა
 იზრუნვოს!</p> <p>დაგფუვა კოვბზე
 შენნი მოთქმანი, კაეშნის ხმანი,
 ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკენანი...</p> <p>კრიტიკოსზე
 მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო!</p> <p>განდიღების მანიით
 შეაპროგნილზე
 ეთამაშება თავისსა აჩრდილს.</p> <p>მელორვეზე
 ... ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!</p> <p>კაკიტალიზმის გადმონაშთზე
 მოისპო მსწრაფად მისი ნაშთი და
 მისი კვალი.</p> <p>მეპრთამეზე
 ... და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით,
 ისი ეკმაროს?</p> <p>მგოსანზე, რომელსაც დიდი ხანია
 ლეჰსი არ დაუფერიბა
 მაგრამ მგოსანსა თურმე მოერიბა გლახ
 რული.</p> <p>გუნდოვან მფარალზე
 ...ადგილნი შენნი, დამაფიქრველნი,
 ვერანანი და უდაბურნი...</p> | <p>ზოგვიერთ დიქტორზე
 მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ
 და ჰაერშივე განიბნევიან.</p> <p>მეგრელაზე, იმერელაზე,
 გურულაზე და სხვაზე
 ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო!</p> <p>ანონიზური წერილების
 ავტორაზე
 ავ-ენანო, ოდეს დასცხრეთ,
 მოასვენოთ ეზღენ სული?</p> <p>ჩაპრილ აბიტურიენტზე
 რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი
 უსაგნოდ, მარტო?</p> <p>პენსიონისტზე
 ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით
 ოხრავს.</p> <p>ქორვაპრაზე
 მაინც რა არის ჩვენი ყოფა —
 წუთისოფელი,
 თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?</p> <p>კოლონიზატორაზე
 ... და აღიძვრიან იმავ მიწისთვის,
 რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..</p> <p>ზოგვიერთ იუმორისტზე
 ნეტავი ოდეს ხმა მხიარული შენგან
 მსმენოდეს!</p> | <p>სტილიაბა ქალიზვილზე
 რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
 მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო!</p> <p>აბსტრაქციონისტზე
 ბევრი დღე გავა, რომ ვერ ბევრი ვერ
 გცნათ ჩვენ მისი!</p> <p>ზოგვიერთ მომხსენებელზე
 რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?</p> <p>15 „სუბაამისჯილ“ ხულიგანზე
 ამას უქადლი ჩემს ცხოვრებას,
 „ყმაწვილკაცობას“
 თითქოს მაძლევდი ამა სოფლად
 თავისუფლებას.</p> <p>სოფელი საფუაროდ
 განაწილებულ ეპიფზე
 დედის ერთა ვარ, ნუ მამკლავ, ნუ
 დამანანებ სოფელსა!</p> <p>ღვინის ფალსიფიკატორზე
 მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა!</p> <p>გამოცდაზე გასულ ზოგვიერთ
 სტუდენტზე
 მაშა, ღუმელიც მიმითვალე შენდამი
 ლოცვად!</p> <p>თბილისის „დინამოზე“
 აი, ხომ ნახე აწ მაგალითი,
 რა ქმნა აწ ერთმა დამარცხებამან!</p> |
|---|--|---|



ბარათი ბარათაშვილს


რა უბედო ბედი დაგყვა, გულს რა ცეცხლი მოედო,
 რამ დაგიზრო ყვაველეთი, ბობოქარო პოეტო?!

სიკვდილს შენთან რა უნდოდა, შენ სიცოცხლეს ეტრფოდი,
 რომ ეცლია წუთისოფელს, რამდენ რამეს გვეტყოდი.
 ქართლის ბედზე მომღერალო, დაგელოცოს მარჯვენა,
 შენი მხარე, შენი ქართლი, ნეტავ, ახლა გაჩვენა,
 დაგანახა შენს ქალაქში სიხარულს გაჩვენა,
 დღეს თბილისში ვინც ჩამოდის, ყველას აქ სურს დარჩენა.
 შენ კი ბედმა, უღმობელმა, გადაგხვეწა განჯაში
 და დღეები მიიღია შენი ლექსის მარჯანში.
 ახლა განჯას ვინ არ იცნობს განჯურ ყურძნის წვენითა,
 შიგადაშიგ თევზიც მოდის „პრავდნიკის“ ხელითა.
 ერთადა ვართ დარაზმულნი, ჭირშიცა და ლხინშიცა,
 ფეხბურთში გვაქვს მხოლოდ დავა: „ა“ კლასშია ისიცა.
 ამას წინათ „გაგვამწარა“, ცუდი საქმე დაგვმართა,
 თრით ნოლზე მოგვიგო და ორი ქულა წაგვართვა.
 ბოდიში, რომ სიმწარისგან კბილებს ვურტყამ კბილებზე,
 რომ ფეხბურთი გავისხენე ამ შენს იუბილზე.
 მაგრამ რა ვქნა, ფეხბურთისთვის არ არსებობს მანძილი,
 თღონდ ფეხბურთს ვუყუროთ და, არც სმა გვინდა, არც ძილი.
 გეტებორგშიც ვახლდით ნაკრებს, ლონდონიც კი ვიხილეთ
 და უემბლის სტადიონზე „მიდი, მიდი“ ვიყვირეთ.
 მესიკოშიც გესურდა წასვლა, სხვა გუნდების აკლება,
 მაგრამ „თამაშვარე“ დავრჩით, გვიღალატა ნაკრებმა.
 ერთადერთი ამერიკა არ გვინახავს ამ განხრით,
 თუმც იქ წასვლა აღარცა ღირს: ვინმე ფიშტოს დაგვაცლის.
 სიმართლისთვის მებრძოლ გმირებს ტყვიით „აიმიედებენ“,
 მკვლელს „იჭერენ“, გაუშვებენ, მერე ისევ „ეძებენ“...
 მერე ამ მკვლელს სხვა მკვლელი ჰკლავს, ყმა ყელსა ჭრის
 ბატონსა,

ძალი პატრონს ვედარა სცნობს... ვაი, იმათ პატრონსა!
 ეს ცნობისთვის. ახლა ისევ დაგუბრუნდეთ მთაწმინდას,
 დაგუბრუნდეთ ლექსებს შენსას — უკვდავების საწინდარს.
 პოეტებით სავსე ქალაქს ვუთხრათ ჩვენი სათქმელი,
 ვაგლახ, წინათ რომ იყავით თითზე ჩამოსათვლელი!
 თქვენს დროს სანთლით რომ გეძებნათ, სამ მგოსანს ძლივს
 ჰპოვებდით,

ახლა ერთ სულ მოსახლეზე მოდის ორი პოეტი.
 ზოგი მართლა პოეტია, მისდევს მერნის ნაკვალევს,
 ზოგიც კიდევ უშედეგოდ ტვინს და მუზას აწვალავს.
 ზოგმა სვედით გაჯობა და დადის ზღუქუნ-ზღუქუნით,
 პოეზიის მუიან ამინდს ბურავს რაღაც უკუნით.
 თან გაჰკვივის: „დაბეჭდეთ“, ლამის ყველა გალახოს,
 ლექსს რას აქნევს, ჰონორარით უნდა წაიბალახოს.
 ცხენს კი არა, ეტლს იყიდო, ის რომ ითხოვს, ამ ფასით,
 თან პორტრეტსაც ურთავს ლექსზე პროფილით ან ანფასით.
 შენ კი, სვედით დატანჯული, ბედს ებრძოდი, დახლართულს,
 ერთ სტრიქონსაც ვერ ედირსე დაბეჭდილს და დახატულს.
 დღეს სამშობლოს ტანჯულ მიწას მზემ დახედა, მაღალმა,
 და განჯაში დამწვარ პოეტს ვარდი გადმოგაყარა.
 დღეს სიმართლეს ქვეყანაზე გაუმრავლდა ფესვები,
 ყვაველებად გაიფურჩქნენ ხალხში შენი ლექსები.
 სტრიქონებად გარდაქმნილი მოარღვევდი უკუნეთს
 და მთაწმინდის სიმაღლიდან მთელ მსოფლიოს უყურებ!


ვალ. მამუკელაშვილი
 გრ. ჩიქვილაძე



თვითონ სამარცხ მვიწროს
 თუ ტოლი მყვანდეს!



რად მრისხანებ,
 ჩემის ბელის ვარსკვლავო?



რა ხელ მყრის პატივს ნაზი ბულგული
 გალიაშია დატყვევებული.

საქართველოს
 მემკვიდრეობის
 მინისტრის
 ბრძანებით

ვანო ცინცაძე

- რა გვარი ხართ?
- ბარათაშვილი!
- რა გქვიათ?
- ნიკოლოზი!
- მამის სახელი?
- მელიტონი!
- რა გავტო პირველ საკითხად?
- „მერანი“, პატივცემულო!
- აბა, დაიწყეთ!
- გამოვცვლი, ბატონო, ბი-
 ლეთს, თუ შეიძლება!

582
 18.1X 68

საბჭოთა
 ბიულეტენი

მთავარი
 რედაქტორი
 ნოდარ ლუგვაძე

სარედაქციო
 კოლეგია:
 ზ. ბოლქვაძე
 (პ/მზ. მღიზანი),
 ს. კლდიაშვილი,
 ნ. მაღალაშვილი,
 ბ. ნიშნიაშვილი,
 (მთავ. რედ.
 მოვალეობა),
 ნ. შვილიძე,
 ო. ჭელიძე.

საბჭოთა და იუმორის
 შურალი „ნიანგი“

თბილისი, რუსთაველის არსაბაძის № 42.

ნიანგი

თბილისი, რუსთაველის არსაბაძის № 42.
 ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოვალეობის 93-49-32.
 საერთო განყოფილების 93-10-78.

Тбилиси, Сатирико-
 юмористический
 журнал «Нианги».
 საქ. კვ. ცენტრალური
 კომიტეტის ბაზოვცე-
 მოვლა. ხელმოწ.
 დასაბ. 6/1X 1968 წ.
 ტალ. ზომა 70x108/8
 1 ნაბ. ფურც. 1.4.
 ფორმატის ფორმატა
 როდენობა 1.
 პირობით ფორმატა
 რაოდ. 2. საქ. კვ.
 ც.ბ.ს. ბაზოვცემო-
 ვის კ/კომინატი.
 თბილისი, ლენინის
 მ. № 14. შიპ. № 3094
 ში 02438.
 ბირაჟი 90.300.

